

უაკ: 783

სადა კილოს წირვის წესის საგალობლების საბაზისო ჰანგები და მათი შემადგენელი სტრუქტურული ერთეულები (გელათის სამგალობლო სკოლის საგალობლების მაგალითზე)

მაგდა სუხიაშვილი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახ. კონსერვატორია,
თბილისი, გრიბოედოვის ქ. №8-10

ანოტაცია:

გელათის სამგალობლო სკოლის სადა (მარტივი) კილოს წირვის წესის საგალობლების შემცველი სხვადასხვა ბეჭდური თუ ხელნაწერი კრებულის შედარების შედეგად ირკვევა, რომ მათში შესული საგალობლების ჰანგები შედგენილია საერთო მუხლებითა და ინტონაციური ფორმულებით. ამასთან, მელოდიური განვითარების ქარგა მხოლოდ ე. წ. „ნამდვილი კილოს“ (ან „კილო გალობის“) ნიმუშებშია წარმოდგენილი სრული სახით. სადა (საბავშვო) კილოს რიგ საგალობლებში კი ჰანგების გამარტივების მიზნით უგულებელყოფილია გარკვეული ინტონაციური ფორმულები და მუხლებიც კი – სიტყვიერი ტექსტი შესაძლოა შეეფარდოს მხოლოდ ერთ განმეორებად მუხლს. აქ იშვიათად დასტურდება განსხვავებული (უმარტივესი მელოდიური ნახაზის მქონე) სტრუქტურული ერთეულებით საბაზისო ინტონაციური ფორმულების ჩანაცვლების მაგალითებიც.

წარმოებული კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ საგალობლების სამუსიკო სტილთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინის შინაარსი. ტერმინები – „კილო გალობა“ და „ნამდვილი კილო“ – უფრო ვიწრო მნიშვნელობისაა და გამოიყენება ნევმატური სამუსიკო სტილის იმ საგალობლების აღსანიშნავად, რომლებშიც საბაზისო ჰანგი („მთავარი კოლო“) წარმოჩენილია მკაფიოდ და სრული სახით. რაც შეეხება ტერმინებს – „სადა კილო“, „მარტივი კილო“, ისინი უფრო ზოგადი შინაარსისაა და იხმარება როგორც ე. წ. „ნამდვილი კილოს“ („კილო გალობის“) ნიმუშების, ისე საგანგებოდ გამარტივებული სასწავლო დანიშნულების რეპერტუარის, საბავშვო საგალობლების, სტილური თავისებურების აღსანიშნავად.

საკვანძო სიტყვები: საგალობელი, წირვის წესი, სადა კილო, საბაზისო ჰანგი.

გელათის სამგალობლო სკოლის სადა (მარტივი) კილოს წირვის წესის საგალობლები ჩვენამდე სხვადასხვა ხელნაწერი თუ ბეჭდური კრებულის სახით არის მოღწეული. მათი საბაზისო ჰანგებისა და სტრუქტურული ერთეულების სიღრმისეული კვლევა უაღრესად მნიშვნელოვანია თითოეული წყაროს თავისებურებათა წარმოჩენისთვის, წირვის წესის საგალობელთა სამუსიკო ქსოვილის ძველი შრეების განსაზღვრისა და ინტონაციური ფორმულების რეპერტუარის დადგენისთვის.

ცნობილია, რომ ჩვენამდე მოღწეულია გელათის სამონასტრო სკოლის წირვის წესის სადა (მარტივი) და გამშვენებული საგალობლები. ქართულ მუსიკისმცოდნეობაში მათ შესწავლას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. სხვადასხვა მიზანდასახულობით იქნა

წარმოებული საგალობელთა გარკვეული ნიმუშების საერთო საბაზისო ჰანგების კვლევა [1, 2, 3, 4], თუმცა მათი კომპარატიული ანალიზი ჯერ არ განხორციელებულა უკლებლივ ყველა წყაროს გათვალისწინებით, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია არაერთი ბუნდოვანი საკითხის ნათელსაყოფად.

სადა კილოს წირვის წესის შემცველი ხელნაწერი და ბეჭდური წყაროებია: წმ. ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძის) (1865-1944) კრებული ხეცხ Q-674, რომელშიც ორი სახის საგალობლებია წარმოდგენილი – ე. წ. *ნამდვილი კილოს* ნიმუშები და *საბავშვო* საგალობლები [5: 193-244; 245-266]; ცნობილი მაგალობლის, დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის (1844-1929), მიერ შედგენილი ორი კრებული [6; 7]. მათგან პირველში გამოქვეყნებულია საგალობელთა მხოლოდ პირველი, ზედა ხმა (ე. წ. „თქმა“), ხოლო მეორეში – სამივე ხმა¹. სადა საბავშვო საგალობლებს (სულ 12 ნიმუშს) შეიცავს ასევე ხეცხ Q-688 (ფ. 401r–409v) [8]. მათი უმრავლესობა ხეცხ Q-674-ში წარმოდგენილი საბავშვო საგალობლების იდენტურია (თუ არ ჩავთვლით უმნიშვნელო ვარიანტულ სხვაობებს ხმათა შეწყობის თვალსაზრით²). კომპარატიული ანალიზისას მეცნიერულ ინტერესს იმსახურებს ასევე ფილიმონ ქორიძის მიერ ჩაწერილი წირვის წესის საგალობელთა გამშვენებული ნიმუშები, რადგან მათი გათვალისწინებით ირკვევა თუ რომელი კილო იყო საორიენტაციო ჰანგის გამშვენებისას [12].

ქართული ლიტერატურული წყაროების თანახმად, *სადა* და *მარტივ კილოს* სხვაგვარად *კილო გალობას*, ხან კი *ნამდვილ ან ბუნებითი კილოს* უწოდებენ. მათ ერთმანეთისგან ყოველთვის არ მიჯნავენ. წმ. ექვთიმე აღმსარებელი წერს: „ყველა საგალობელს თავ-თავისი საკუთარი **ბუნებითი კილო** აქვს და ეს კილო მისი საკუთარი ბუნებითი გზა არის: როცა მაგალობელი **ნამდვილ კილოზე** იტყვის საგალობელს, ის ადვილად იგალობებს, ადვილად და მარტივად გავა ბოლომდის... ახლაც უეჭველი საჭიროდ შეიქმნა **მარტივი კილო-გალობა**... ამიტომ დავწერე ნოტებით მთელი სამი წირვის წესი სამ ხმაზე გაწყობით ... **მარტივ, სადა, ბუნებით კილოზე**...“ (ხაზგასმები ჩვენია - მ. ს.) [13: 190]. ხოლო მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე აღნიშნავს: „როდესაც გალობის შეურყევლად დაცვაზეა ლაპარაკი, სახეში აქვსთ ყოველთვის იმისი დედანი... ესე იგი **კილო, სადა ხმა**, რომელიც ედება სარჩულად ყოველს შემდეგ მუშაობას... მაშასადამე, უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს... ძველს, პირვანდელს მარტივ კილოს“... (ხაზგასმები ჩვენია - მ. ს.) [14].

თაობათა შორის კრძალვით დაცულ *კილო გალობას* დეკანოზი რაჟდენ ხუნდაძე *საზოგადო კილოდაც* მოიხსენიებს, რადგან იგი საყოველთაოდ ვრცელდებოდა და სხვადასხვა სამონასტრო სკოლების საგალობელთა საფუძველს წარმოადგენდა. „... წინეთ, საზოგადოთ გამეფებული იყო ერთი საზოგადო კილო სრულიად იმერ-

¹ წირვის წესის ზემოხსენებული საგალობლების უმრავლესობა (მათ შორის, დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძისა და ფილიმონ ქორიძის ბეჭდური პარტიტურებისა და ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერის მიხედვით) გამოქვეყნებულია ახალი რედაქციით [იხ. 9, 10, 11].

² ზოგიერთი წართქმითი საგალობელი („ყოველთა და ყოვლისათვის“, „იყავნ სახელი უფლისა“ (409v) გაწყობილია უმარტივეს ჰანგზე (ფსალმოდური რეჩიტატივის გამოყენებით), რომლის შემცველი ინტონაციური ფორმულები არაერთგზისაა დამოწმებული საბავშვო საგალობლების სხვადასხვა ნიმუშებში და ხუნდაძისეულ სადა კილოში (5: 265-266; 10: 204, 295 №№213, 215, 254).

ამერთა შორის და ვინაც გალობა იცოდა, ამ საზოგადო კილოს წყალობით ერთი მეორესთან ერთად გაზრდილივით იტყოდნენ გინდ თავის დღეში არ ენახათ ერთმანეთი“, – წერდა მამა რაჟდენი [15: 144].

ცნობილია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს მე-19 საუკუნის მაგალობლებმა მარტივი, სადა კილოს ჩაწერას და ამ გზით საგალობელთა შეურყვნელ დაცვას მომავალ თაობათათვის გადასაცემად. ექვთიმე კერესელიძე წერდა: „კილო არის საფუძველი გალობისა, რომლის ხმის ძარღვზეც ყველა ხმის მიმოხვრანი დამოკიდებული არიან... კილოს და კარგვა იგივე გალობის დაკარგვა არის.. კილოს საგალობელი უმაღლესად კანონიერად ცნობილი, მიღებული და დამტკიცებული არის“ [13: 189].

სადა კილოს საგალობელთათვის გამშვენების ელემენტი უცხო არ არის. იგი ყველაზე მოკრძალებულადაა წარმოდგენილი საბავშვო საგალობლებსა და დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძისეული კრებულის (1902) მარტივ ნიმუშებში³, ყველაზე ფართოდ კი – ე. წ. *ნამდვილი კილოს* ნიმუშებში. რაც შეეხება ხუნდაძის მეორე კრებულს (1911), ამ მხრივ მას შუალედური ადგილი უკავია ზემოხსენებულ წყაროებს შორის (ქვემოთ იხ. სანოტო მაგალითი №7, საიდანაც ნათლად ჩანს გამშვენების სიუხვე ე. წ. *ნამდვილი კილოს* საგალობლში „და ვითარცა მეუფისა“⁴).

მიუხედავად იმისა, რომ ე. წ. *ნამდვილი კილოს* მიკუთვნებულ ზოგიერთ საგალობელში გამშვენების ხვედრითი წილი თვალშისაცემია, მე-19 საუკუნის მაგალობლები მას *გამშვენებულ კილოდ* არ მოიხსენიებენ. მიზეზი ამისა შესაძლოა გახლავთ ის, რომ გამშვენება აქ ისე ჭარბად არა არის გამოყენებული, როგორც *გამშვენებულად* სახელდებულ საგალობლებში. კალოფონია საბაზისო ჰანგიდან გადახვევას არ განაპირობებს – კილო უცვლელად არის დაცული. *ნამდვილი კილოდ* წოდებულ საგალობლებს წამმღვარებული აქვს შემდეგი სიტყვები: „წირვის საგალობელი ნამდვილ კილოზედ დაწერილი..., რომელიც შესაძლებელია ყველამ ადვილად (ხაზგასმა ჩვენია – ავტ.) ისწავლონ...“ [5: 193]. ამდენად, *ნამდვილი კილო* სასწავლო პრაქტიკაში მარტივ, ადვილად ასათვისებელ კილოდ მიიჩნეოდა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სადა საგალობლების ჰანგებისა და მათი შემადგენელი სტრუქტურული ერთეულების კვლევის არეალში ე. წ. *ნამდვილი კილოს* ნიმუშებიც მოექცა.

ხეცხ Q-674-ში დაფიქსირებული *ნამდვილი კილოს* საგალობლები ჩაწერილია მაქსიმე შარაძის მიერ სახელგანთქმული სრული მაგალობლის, ანტონ დუმბაძის (1824-1907), ნამოწაფრისგან, სიმონ მოლარიშვილისგან. კრებულში ექვთიმე აღმსარებლის შემდეგ შენიშვნას ვკითხულობთ: „1898 წ. ჩამწერელი კილო-გალობისა პირველ ხმაზე იყო მაქსიმე შარაძე და გადამცემელი მაგალობელი სვიმონ

³ ამაზე მიუთითებს დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის შემდეგი შენიშვნა: „ამ წიგნში ზოგიერთი გალობა ორ-სამ ნაირად სწერია, ამისთვის მიუცილებელი საჭიროა ვიცოდეთ, რომელი №№-ის გალობები უფრო უადვილესია სასწავლად და გასავრცელებლად...“ შენიშვნას მოსდევს ადვილად ასათვისებელ საგალობელთა ჩამონათვალი ნუმერაციის მიხედვით [6: 60].

⁴ სანოტო მაგალითში №7 კავებით აღნიშნულია გამშვენების გავრცობილი მონაკვეთები, რომლებითაც *ნამდვილი კილოს* საგალობლის მუხლი (მაგალითში რიგით მესამე) სხვაობს ხუნდაძისეულისაგან (რიგით პირველი). ამ მაგალითის შესახებ იხ. ქვემოთ.

მოლარიშვილი, ხოლო სამ ხმაზე გამწყობელი და დამწერი მე და მღვდ. ივლიანე ნიკოლაძე“ [5: 19]. საყურადღებოა, რომ სადა კილოს წირვის წესის სხვა საკვლევი ნიმუშები ასევე ანტონ დუმბაძის ერთ-ერთი გამორჩეული ნამოწაფრის, რაჟდენ ხუნდაძის, ხელიდანაა გამოსული. ამდენად, წინამდებარე ნაშრომში ერთი მასწავლებლის ორი ნამოწაფრის მიერ გადმოცემული საგალობლების ურთიერთმიმართებაზე, მათი შედარებითი ანალიზის შედეგებზე ვიმსჯელებთ.

სადა კილოს საგალობელთა შემცველ ხსენებულ წყაროებში დამოწმებული ერთი და იმავე ჰიმნების შედარება გვარწმუნებს, რომ მათ უმრავლესობას საზიარო ჰანგები აქვს და, შესაბამისად, საერთო მუხლები და მელოდიური ფორმულები უდევს საფუძვლად; ჰანგებს შორის გარკვეული სხვაობები სათანადო ახსნას საჭიროებს, რასაც რამდენიმე საგალობლის მაგალითზე შევეცდებით.

სანოტო მაგალითში №1 წარმოდგენილია საგალობლის „ღირს არს და მართალ“-ის სტრუქტურული ერთეულები შემდეგი წყაროების მიხედვით: 1. ე. წ. *ნამდვილი კილო* [5: 229-230]; 2. *საბავშვო საგალობელი* [5: 258]; 3. ხუნდაძის პარტიტურა [7: 21-22]; 4. ხუნდაძის კრებული [6: 24-25].

მაგ. №1

ღირს არს და მართალ Meet and right is it

The musical score is presented in four staves, each with a key signature of one sharp (F#) and a common time signature (C). The lyrics are written in both Georgian and English. The score includes various musical markings such as 'A', 'B', 'B1', 'B2', 'C', 'D', 'E', 'F', 'a', 'b', 'c', 'd', 'e', 'f', 'g', 'h', 'i', 'j', 'k', 'l', 'm', 'n', 'o', 'p', 'q', 'r', 's', 't', 'u', 'v', 'w', 'x', 'y', 'z'.

Staff 1: ღირს არს და მარ - თალ თაყვანისცემა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა სა - მე - ბი - სა ერთ - არ - სე - ბი - სა
Airs ars da mar - tal taqvaniscema mamisa da jisa da cmidisa sulisa sa - me - bi - sa ert - ar - se - bi - sa

Staff 2: ღირს არს და მარ - თალ თაყვანისცემა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა სა - მე - ბი - სა ერთ - არ - სე - ბი - სა
yirs ars da mar - tal taqvaniscema mamisa da jisa da cmidisa sulisa sa - me - bi - sa ert - ar - se - bi - sa

Staff 3: ღირს არს და მართალ თაყვანისცემა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა სა - მე - ბი - სა ერთ - არ - სე - ბი - სა
yirs ars da martal taqvaniscema mamisa da jisa da cmidisa sulisa sa - me - bi - sa ert - ar - se - bi - sa

Staff 4: ღირს არს და მართალ თაყვანისცემა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა სა - მე - ბი - სა ერთ - არ - სე - ბი - სა
yirs ars da martal taqvaniscema mamisa da jisa da cmidisa sulisa sa - me - bi - sa ert - ar - se - bi - sa

სანოტო მაგალითში მუხლები აღნიშნულია დიდი ლათინური ასოებით, მათი შემადგენელი მელოდიური ფორმულები – პატარა ასოებით; სტრუქტურული ერთეულების ვარიანტები – ზედა არაბული ციფრით, ხოლო საქცევის შემადგენელი სეგმენტები – ქვედა არაბული ციფრით (რიგის მიხედვით)⁵. როგორც სანოტო მაგალითიდან ჩანს, საგალობლის ოთხივე ვარიანტი საერთო მელოდიურ ფორმულებს შეიცავს. მათ შორის სხვაობს ჰანგზე სიტყვიერი ტექსტის მარცვლების განაწილება, მისი „აკინძვა“ (პოლიექტოს კარბელაშვილის გამოთქმა); ზოგიერთი მუხლის შემადგენელი ინტონაციური ფორმულა ჩანაცვლებულია სხვა ფორმულით.

საგულისხმოა რაჟდენ ხუნდაძის შენიშვნა, რომელიც ერთვის საზიარო ჰანგის მქონე ორ საგალობელს – „ღირს არს და მართალს“ და „წმინდა არსს“. ცნობილი მაგალობლის სიტყვებით, ისინი „ჩვეულებრივად იგალობება თავში ყველა სიტყვების წართქმით (ხაზგასმა ჩვენია – მ. ს.) და შემდეგ სულ უსიტყვოდ გაგრძელდება ბოლომდის. ჩვენ კი, სიტყვები თავიდანვე დაუნაწილეთ ბოლომდის, ხოლო კილო, მიმოხვრა გალობისა შეუცვლელად არის დაცული“ [6: 27]. დეკანოზ რაჟდენის შენიშვნიდან ირკვევა, რომ მან შეცვალა ჰანგზე სიტყვიერი ტექსტის მარცვლების განაწილების პრინციპი⁶; მისი განმარტებით, საგალობლის ცნობილი ვარიანტისთვის ნიშანდობლივია დასაწყისში სიტყვების წართქმით გალობა, შემდეგ კი გაგრძელება „უსიტყვოდ“. მართლაც ამ თავისებურებით გამოირჩევა „ღირს არს და მართალ“-ის ყველა სხვა ვერსია (იგულისხმება *ნამდვილი კილოდ* წოდებული ნიმუში, *საბავშვო საგალობელი* და ქორიდის მიერ ჩაწერილი გამშვენებული ვერსია⁷). რაჟდენ ხუნდაძის შენიშვნიდან ცხადი ხდება ისიც, რომ საგალობლების მისეული ვერსია ახალია – სხვათაგან განსხვავებული, თუმცა „კილო და მიმოხვრა გალობისა“ (ანუ ჰანგის შემადგენელი ინტონაციური ფორმულები – მ. ს.) უცვლელია.

საზიარო მელოდიური ფორმულების მიუხედავად, ერთმანეთისაგან ვარიანტულად სხვაობს საკვლევ წყაროებში წარმოდგენილი სხვა ერთი და იმავე საგალობლების ჰანგებიც. მათ შორისაა „რომელნი ქერუბიმთა“ და „შენ გიგალობთ“⁸.

სანოტო მაგალითში №2 ნაჩვენებია სიწმინდის შემოყვანების საგალობლის, „რომელნი ქერუბიმთა“, შემადგენელი მუხლები წმ. ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძის) ხელნაწერის (*ნამდვილი კილოს* ნიმუშის) მიხედვით⁹ [იხ. 5: 217-221;

⁵ სტრუქტურული ერთეულების მარკირების ხსენებული პრინციპი გამოყენებულია სხვა სანოტო მაგალითებშიც. ზოგიერთ მათგანში წარმოდგენილია მრავალხმიანი საგალობლების მხოლოდ პირველი ხმა (ე. წ. „თქმა“). სანოტო მაგალითების შერჩევისას რიგ შემთხვევებში გამოყენებულია საგალობელთა ერქვანიძისა და ვეშაპიძის მიერ შედგენილი კრებულები [9; 10].

⁶ ცვლილება დასტურდება ხუნდაძის მიერ შედგენილ ორივე კრებულში.

⁷ გამშვენებული ვერსია წარმოდგენილია ქორიდის კრებულში [12: 116].

⁸ *ნამდვილი კილოს* ნიმუშთან შედარებით ხუნდაძის პარტიტურაში „შენ გიგალობთ“-ის „აკინძვის“ სხვა ვარიანტია შემოთავაზებული – მესამე მუხლი (უსიტყვოდ ხმის ტრიალით) ორჯერ მეორდება ვარიანტული სახეცვლით; პირველ ჯერზე გამოყენებულია საქცევის ჩანაცვლების ტექნიკა – მესამე მუხლის კუთვნილი მელოდიური ფორმულა ჩანაცვლებულია წინარე (მეორე მუხლის) საქცევით. იგი ინტონაციურ ფორმულათა განსახვავებულ კომბინაციას წარმოშობს [შდრ. 10: 270-271 და 5 : 233].

⁹ მ. ერქვანიძის მიერ შედგენილ კრებულში საგალობლის სახელწოდებას მოსდევს განმარტება – „გამშვენებული“, რომელიც ხელნაწერში არ დასტურდება; იგი მ. ერქვანიძის მიერაა დართული.

მსგ. №2

50

The musical score is written in treble clef with a key signature of three sharps (F#, C#, G#). It consists of ten staves of music, each with a line of lyrics in Georgian and phonetic annotations above the notes.

Staff 1: The first staff begins with a box labeled **D**. The lyrics are "სა სამ-გზის წმინდა". Phonetic annotations include **c** above the first measure, **n** above the second measure, and **q** above the third measure.

Staff 2: The second staff continues the melody. The lyrics are "სა - - - - - და - - - - -". A phonetic annotation **o¹** is placed above the first measure, and **c** is above the last measure.

Staff 3: The third staff begins with a box labeled **E**. The lyrics are "(ა) - გა - ლო - ბა - - - - - სა შენ - და შენ - წი -". Phonetic annotations include **p** above the first measure, **q** above the second measure, and **k** above the third measure.

Staff 4: The fourth staff continues the melody. The lyrics are "რა - - - - - (ა) - - - - - ყო - - - - -". Phonetic annotations include **r** above the first measure, **c** above the second measure, and a box labeled **E¹** above the third measure. A phonetic annotation **p¹** is placed above the last measure.

Staff 5: The fifth staff continues the melody. The lyrics are "ვე - - - - - ლო - ვე - - - - - (ე) აწ". Phonetic annotations include **q¹** above the first measure and **q** above the last measure.

Staff 6: The sixth staff begins with a box labeled **E²**. The lyrics are "სო - ვლი - (ო) - - - - - (ო) - - - - - სა". Phonetic annotations include **k** above the first measure, **r¹** above the second measure, and **c** above the last measure.

Staff 7: The seventh staff begins with a box labeled **E³**. The lyrics are "და - უ - ტე - - - - - ო - - - - - თ წყუ - - - - - ნ -". Phonetic annotations include **p²** above the first measure and **p³** above the last measure.

Staff 8: The eighth staff continues the melody. The lyrics are "ვა - - - - - (ა)". Phonetic annotations include **r²** above the first measure and **c** above the last measure.

„რომელნი ქერუბიმთას“ ხუნდაძისეულ გამარტივებულ ვარიანტს დართული აქვს შემდეგი შენიშვნა: „ეს „რომელნი ქერაბინთა“ შემოკლებით დავწერეთ, ე. ი. „ჭრელების“ (უსიტყვოდ ხმის ტრიალის) გამოკლებით“ [6: 14]. მართლაც, საგალობლის ამ ვერსიაში ვერ შეხვდებით გამშვენების („უსიტყვოდ ხმის ტრიალის“) ვრცელ მონაკვეთებს, რომლებიც მამა ექვთიმეს ხელნაწერშია წარმოდგენილი. მათ შორისაა სამი იმპროვიზაციული მუხლი¹⁰ – რიგით მეხუთე, მეექვსე და კულმინაციური მეშვიდე (C^1QQ^1) და მერვე (D) მუხლის ორი გამამშვენებელი მელოდიური ფორმულა (o^1c) (შდრ. სანოტო მაგალითი 2 და ცხრილი 1); თუმცა საგალობლის ხუნდაძისეულ ვერსიაში მხოლოდ ხსენებული სტრუქტურული ერთეულები როდია უგულებელყოფილი. აქ არ დასტურდება ორი საბაზისო მუხლის (A და E) ვარიანტულად სახეცვლილი გამეორება (A^1 , E^1 , E^3), რის გამოც ჰანგის მელოდიური განვითარების ქარგა რამდენადმე იცვლება.

ცხრილი 1

რომელნი ქერუბიმთა

Let us, the Cherubim

ნამდვილი კილო <i>Real mode</i>	A abc	A^1 A^2b^1c	B fgc	C f^1rc	C^1 f^2c	Q^2 oc	Q^3 o^1r^2c	D nf^5o^2c		E $p f^5_2k$ r^1c	E^1_1 $p^1 f^6_2$ f^6_2	E^2_2 kr^1c	E^3 $p^2 p^3$ r^2c
ხუნდაძის პარტიტურა (1911) Khundadze's collection (1911)	A^2 A^2b^2c		B fg^1c	C^4 f^1r^1c				D^1 n^1f^5	D^2 n^2f^5 c		E^2_1 $p^4 f^5_2$	E^4_2 kr^1c	
ხუნდაძის კრებულის (1902) Khundadze's collection (1902)	A^3 A^3b^2c		B fg^1c	C^4 f^1r^1c				D^1 n^1f^5	D^2 n^2f^5 c		E^2_1 $p^4 f^5_2$	E^4_2 kr^1c	
საბავშვო საგალობელი children's chant	A^4 A^4b^3c	A^4 A^4b^3c	A^4 A^4b^3c	A^4 A^4b^3c	A^4 A^4b^3c			A^4 A^4b^3c	A^4 A^4b^3c		A^4 A^4b^3c	A^4 A^4b^3c	

ჰანგის შედგენისას საგალობელთა შემოკლება, მათი სახეცვლილი ვერსიის შექმნა შემოქმედებითი თავისფლების გამოვლინებას წარმოადგენს. ეს ცვლილებები სავარაუდოდ სასწავლო პრაქტიკის მოთხოვნებითაა ნაკარნახევი. ზოგიერთი „ჭრელი“ მუხლის უგულებელყოფა და საგალობლის შემოკლება აიოლებს მის ათვისებას. ამავე მიზანს ემსახურება „ღირს არს და მართალ“-ისა და „წმინდა არს“-ის საზიარო ჰანგის განსხვავებული „აკინძვა“ (წართქმითი მონაკვეთებისა და ინტონაციური ფორმულების ახლებური კომბინაცია). გამშვენების ფუნქციის მქონე

¹⁰ კულმინაციურ მუხლს შეეფარდება ტექსტის ყველაზე საკრალური სიტყვის („სამებისა“-ს) მარცვლები. აქ ჰანგის ამბიტუსი განსაკუთრებით ფართოვდება და ზედა ხმა მწვერვალს (fis^2) აღწევს.

„უსიტყვო“ მელოდირ ფორმულებზე სიტყვათა მარცვლების განაწილება მათ დამახსოვრებას ხომ საგრძნობლად აადვილებს¹¹.

სწავლების გასაიოლებლად მამა რაჟდენმა ერთი საგალობლის სიტყვიერი ტექსტი სხვა უმარტივესი ნიმუშის ჰანგზე გააწყო; სარწმუნოების სიმბოლოს, „მრწამსის“, სიტყვები გაწყობილია „მამაო ჩვენოს“ ვარიანტულად სახეცვლილ საქცევებზე¹² (შდრ. სანოტო მაგალითები №№3a, 3b, 3c, 3d, რომლებშიც ნაჩვენებია „მრწამსისა“ და „მამაო ჩვენოს“ პირველი მუხლის ვერსიები რაჟდენ ხუნდაძისა და ექვთიმე კერესელიძის პარტიტურების მოხედვით¹³).

მაგ. 3a

მრწამსი
The Creed

წართქმით

mrçams er ti ymer ti mama qovlisa mpqrobeli šemokmedi

ზომით

cata da kueqa ni sa xi lul ta qo vel ta da a ra xi lul ta


¹¹ გამშვენების ფუნქციის საქცეზე სიტყვის მარცვლების განაწილება დასტურდება ასევე ხუნდაძისეულ „და ვითარცაში“. ამ უკანასკნელში სიტყვა „უხილავად“ (მეორე მუხლში) შეეფარდება იმავე საგალობლის მოლარიშვილისეული ვერსიის „უსიტყვო“ საქცევს [შდრ. 7 : 11 ; 5: 222].

¹² საბავშვო საგალობლებში „მრწამსი“ არ დასტურდება. ხუნდაძისეული პარტიტურის „მრწამსისა“ და „მამაო ჩვენოს“ მელოდირ ფორმულების იდენტურობის შესახებ ნათქვამია თ. ჩხეიძის სადისერტაციო ნაშრომში [3: 103]; თუმცა მკვლევარს ყურადღება არ გაუმახვილებია მის მთავარ მიზეზზე, რაც წარმოაჩნდა ხსენებულ საგალობელთა კერესელიძისეული და ხუნდაძისეული ვერსიების კომპარატიული ანალიზის შედეგად.

¹³ მაგ.3a – „მრწამსი“ (ხუნდაძისეული) [10: 282]; მაგ. 3b – „მამაო ჩვენო“ (ხუნდაძისეული) [10: 282]; მაგ. 3c – „მამაო ჩვენო“ (საბავშვო) [9: 214]; მაგ. 3d – „მამაო ჩვენო“ (ნამდვილი კილო) [5: 236];


მაგ. 3b

მამაო ჩუენო



მაგ. 3c

მამაო ჩუენო




მაგ. №3d



სწორედ ამიტომ სხვაობს სარწმუნოების სიმბოლოს ხუნდადისეული ვერსია ე. წ. *ნამდვილი კილოს* ნიმუშისგან (შდრ. *სანოტო მაგალითები 3a და 4*, რომლებიც ნათლად ადასტურებენ ჰანგების სხვაობას მიუხედავად გარკვეული ინტონაციური კავშირისა) [იხ. 10: 258-263; 5: 224-228].

მაგ.4



საკვლევ წყაროთა კომპარატიული კვლევა ბადებს მოსაზრებას, რომ საგალობლების ზოგიერთი ხუნდადისეული ვერსია ახალია *ნამდვილ კილოდ* სახელდებულ ნიმუშებთან შედარებით. ამ თვალსაზრისის გამოთქმის საფუძველს, პირველ ყოვლისა, ქმნის მამა რაჟდენის ზემოხსენებული შენიშვნები, რომლებშიც საუბარია „ჩვეულებრივისაგან“ განსხვავებული ჰანგების შედგენაზე, მათ შემოკლებაზე; შესაძლოა ხსენებულ სიახლეს გულისხმობდა ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი (გიორგაძე), როდესაც ხუნდადის მიერ საგალობლების „შემუშავებაზე“ საუბრობდა და ყურადღებას მათ სასწავლო დანიშნულებაზე ამახვილებდა. „ხუნდადემ ჩვენი სასწავლებლისთვის შეიმუშავა და დასწერა ნოტებზე უფრო უბრალო, მარტივი კილო ქართული გალობისა...“, – წერდა იგი [15: 169].

სავარაუდოდ ახალია ხმათა შეწყობის – მაღალი ბანისა და ბანის ზედა ხმასთან შებანების – ხუნდადისეული პრინციპებიც, რომლის შესახებაც ჯონ გრემი წერს: „რ. ხუნდადის ჰარმონიული სტილი ზედა ხმებში პარალელური ტერციებით ხასიათდება. მისთვის ასევე დამახასიათებელია განაპირა ხმებში კვინტებისა და ოქტავების, ხოლო კადანსებში ტერციული თანხმოვანების გამოყენების ტენდენცია“ [16: 428]. მართალია, მეცნიერის ეს სიტყვები ძლისპირების შესახებაა ნათქვამი, მაგრამ ხსენებული თავისებურებანი ნიშანდობლივია ხუნდადის მიერ „შემუშავებული“ წირვის საგალობლებისთვისაც. ამავე საგალობელთა სხვა საკვლევ ვერსიებში პარალელიზმები (მათ შორის, კვინტური, ოქტავური და ტერციული) კომბინაციაშია ირიბ თუ საპირისპირო ხმათასვლასთან¹⁴.

¹⁴ სავარაუდოა, რომ საბავშვო საგალობლები (Q-674), ისევე როგორც *ნამდვილი კილოს* ნიმუშები და ხეცხ Q-688-ში შესული საგალობლები, რომლებიც ჩაწერილი იყო ერთხმად, ჰარმონიზებულია მღვდელ ივლიანე ნიკოლაძისა და ექვთიმე აღმსარებლის (და არა დეკანოზ რაჟდენ ხუნდადის) მიერ (ივლიანე

ქართულ ტრადიციულ მრავალხმიანობაში პარალელური ტერციების ჭარბ გამოყენებას სიახლედ მიიჩნევენ მეცნიერები [17: 93; 4: 81]. დიმიტრი არაყიშვილი წერს: «...Как ни ценна запись литургии в трёх голосах, но слишком частое злоупотребление второго голоса петь в терцию с первым голосом указывает уже на более или менее воспитанный слух певца; вследствие этого партия второго голоса не всегда нам кажется стильной. Крестьянин так терцией не злоупотреблял бы...» („რაგინდ ღირებული არ უნდა იყოს ლიტურგიის სამ ხმად ჩაწერა, მეორე ხმის მეტისმეტად ხშირი გამოყენება [იმისთვის], რომ პირველთან ტერციაში იგალობოს, უკვე მიუთითებს მგალობლის მეტ-ნაკლებად აღზრდილ სმენაზე. ამის შედეგად, მეორე ხმის პარტია ყოველთვის არ წარმოგვიდგება სტილის შესაბამისად. გლეხი ტერციას ასე ბოროტად არ გამოიყენებდა“) [17: 93].

დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის მიერ ზოგიერთი საგალობლის ახლებურ „შემუშავებას“ ადასტურებს სადა და გამშვენებული საგალობლების კომპარატიული ანალიზის შედეგებიც. საგალობელთა ჰანგების ვარიანტები, რომლებიც შესულია ფილიმონ ქორიძის მიერ ჩაწერილ გამშვენებულ წირვის წესში და სხვაობს ხუნდაძისეულისგან, მისდევს სწორედ მოლარიშვილისეულ (*ნამდვილი კილოდ* სახელდებულ) ვერსიებს¹⁵ [იხ. 12: 90-94; 116, 118 და სხვ.].

ცნობილია, რომ რაჟდენ ხუნდაძე გალობას დაახლოებით 40 წლის განმავლობაში ასწავლიდა ქუთაისის სხვადასხვა სასულიერო სასწავლებელში, სადაც გალობის პრაქტიკული კურსის გავლა სავალდებულო იყო უკლებლივ ყველა მოსწავლისთვის მათი ნიჭისა და მონაცემების მიუხედავად. როგორც ჩანს, ამ ვითარებამ განსხვავებული ამოცანები დაუსახა ცნობილ მასწავლებელს და საგალობელთა ახალი ვერსიების შექმნისკენ უბიძგა.

საგალობელთა კომპარატიულმა ანალიზმა წარმოაჩინა ასევე სადა *საბავშვო* საგალობლების რაობა. ისინი სავარაუდოდ ძველთაგანვეა შედგენილი. საყურადღებოა ხეცხ Q-688-ის სარჩევში წარმოდგენილი ჩანაწერი, რომლებიც საბავშვო რეპერტუარს ეკუთვნის: „ჩჩვილ ყრმათათვის სათქმელი სადა კილო წირვის წესი“ (ფ. 6v) (ხაზგასმა ჩვენია – მ. ს.); პარტიტურაში კი საგალობლების სახელწოდებაა: „მოწაფეთა ყრმათათვის სადა კილო წირვის წესი“ (ფ. 401r). საგალობელთა „ჩჩვილთათვის“ მიკუთვნილება ბადებს მოსაზრებას, რომ უმარტივეს ნიმუშებს სწავლობდნენ დაახლოებით ექვს წლამდე ასაკის ბავშვებიც¹⁶. ამ თვალსაზრისს საფუძველს უმაგრებს ლექსემა „ჩჩვილის“ სულხან-საბასეული განმარტება, რომლის თანახმადაც, „...ვიდრე ხუთ წლამდე კაცსა ჩჩვილი ეწოდება“ [18: 359]. მცირეწლოვანთა მუსიკალური აღზრდის ტრადიცია დასტურდება სტეფანე აღმსარებლის (ყოფილი მღვდელი ვასილ

ნიკოლაძის მიერ ჰარმონიზებული ძლისპირები განხილულია ჯონ გრემის ნაშრომში „ივლიანე ნიკოლაძე: ქართულ ძლისპირთა რედაქტორი“ [16]).

¹⁵ იგულისხმება არა სამღვდელმთავრო, არამედ „სამღვდელო, საზოგადო“ საგალობელთა (ხუნდაძის გამოთქმა) ვარიანტები.

¹⁶ ყურადღებას იმსახურებს ასევე ხეცხ Q-688-ის სხვა მინაწერებიც, რომლებიც სამგალობლო ხელოვნებაში მცირეწლოვანთა წვრთნაზე მიუთითებენ. „ღირს არს და მართალ“-თან ვკითხულობთ მინაწერს – „მცირე ყმაწვილთათვის“ (ფ. 403v), ხოლო „შენ გიგალობთ“-ს ერთვის მინაწერი „ყრმათათვის“ (ფ. 405v).

კარბელაშვილი) ცნობითაც. „ექვსი წლისა წირვის წესს თავისუფლად ვგალობდითო“, – წერდა იგი თავის ავტობიოგრაფიაში [19].

სიმარტივე, რომლითაც საბავშვო საგალობლების მაღალმხატვრული ნიმუშები გამოირჩევა, სხვადასხვა გზითაა მიღწეული. „დასდებლის მეცნიერნი“ ჰანგების გამარტივების მიზნით, პირველ ყოვლისა, ამცირებდნენ გამშვენების ელემენტს, უგულებელყოფდნენ გარკვეულ ინტონაციურ ფორმულებს და მუხლებსაც კი. შესაძლებელი იყო სიტყვიერი ტექსტის გაწყობა მხოლოდ ერთ განმეორებად მუხლზე. ამის ნათელი დადასტურებაა საგალობელი „რომელი ქერუბიმთა“, რომლის ერთ-ერთ ხელნაწერს აქვს მინაწერი: „ახალ მოსწავლე ყმაწვილებისათვის“ [8: 402r] (ე. ი. საგალობელი განკუთვნილი ყოფილა იმ ბავშვებისთვის, რომლებიც სწავლის დაწყებით საფეხურზე იწვრთნებოდნენ). ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ საგალობლის კომპოზიცია ერთადერთი მუხლის (A) ზუსტ გამეორებას ემყარება (შდრ. სანოტო მაგ.5; ცხრილი 1).

მაგ. 5




სწავლების გასაადვილებლად შესაძლებელი ყოფილა საგალობლის სიტყვიერი ტექსტის სხვა (უმარტივესი) საგალობლის ჰანგზე გაწყობაც¹⁷. ამის ნათელი მაგალითია მცირეწლოვანთათვის განკუთვნილი „სასუფეველსა შენსა“ (სანოტო მაგ. 16), რომელიც „აკინძულია“ „მამაო ჩვენოს“ კუთვნილი ინტონაციური ფორმულებით (შდრ. სანოტო მაგალითები 6 , 3a, 3b, 3c). ამიტომ სხვაობს საბავშვო „სასუფეველსა შენსა“ ამავე საგალობლის ყველა სხვა ვერსიისგან¹⁸. სანოტო მაგალითში 6 წარმოდგენილია საგალობლის ფრგმენტი ერქვანიძისა და ვეშაპიძის მიერ შედგენილი კრებულის მიხედვით [9: 189].

¹⁷ როგორც ზემოთ გაირკვა, ამ მეთოდს დეკანოზმა რაჟდენ ხუნდაძემაც მიმართა.

¹⁸ აღსანიშნავია, რომ „სასუფეველსა შენსა“-ს თითოეული მუხლის საკადანსო მიმოქცევას შეესაბამება „შენ გიგალობთ“-ის ყველა ვერსიის დამაბოლოებელი საქცევი, რომელიც კილოურადაა სახეცვლილი).

მაგ. 6

სასუფეველსა შენსა



გამარტივების მიზნით საბავშვო საგალობლებში ვხვდებით ასევე საბაზისო საქცევის უმარტივესი ინტონაციური ფორმულით ჩანაცვლების შემთხვევებსაც. ამის ერთ-ერთი მაგალითია საგალობლის „და ვითარცა“-ს მეორე (B) მუხლი, რომელიც წარმოდგენილია სანოტო მაგალითში 7. ამ მუხლის სამი ვარიანტიდან პირველი მოყვანილია დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის მიერ შედგენილი კრებულიდან [6: 14-15], მეორე (საბავშვო საგალობელი) – ექვთიმე აღმსარებლის ხელნაწერიდან [5: 267], ხოლო მესამე (ნამდვილი კილოს ნიმუში) – იმავე კრებულიდან [5: 222]. როგორც სანოტო მაგალითიდან ჩანს, საბავშვო საგალობელში შეკვეცილია საბაზისო მუხლის პირველი ინტონაციური ფორმულა (c), მეორე (d) კი ჩანაცვლებულია სხვა (q) მელოდიური ფორმულით, რომელიც რიტმულ-ინტონაციური სიმარტივით და სისადავით გამოირჩევა (ფორმულა q ამავე საგალობლის შემცველ სხვა წყაროებში არ გვხვდება). ამით საგალობლის შესწავლა კიდევ უფრო გაიოლებულია.

ტერმინებს – სადა კილო, მარტივი კილო, ისინი უფრო ზოგადი შინაარსისაა და იხმარება როგორც ე. წ. ნამდვილი კილოს (კილო გალობის) ნიმუშების, ისე საგანგებოდ გამარტივებული სასწავლო დანიშნულების რეპერტუარის, საბავშვო საგალობლების, სტილური თავისებურების აღსანიშნავად.

აბრევიატურა

ხეცხ – კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერი

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. სუხიაშვილი, მაგდა საეკლესიო გალობაში პოეტური ტექსტისა და მუსიკის ურთიერთდამოკიდებულების საკითხისათვის. ჟურნ. *ხელოვნება* (რედ: გურაბანიძე, ნოდარი). თბილისი: *სამშობლო*. 1998 №5-6 (გვ. 39-47).
2. სუხიაშვილი, მაგდა. გალობის კანონიკის ძირითადი ასპექტები ძველ ქართულ სასულიერო მუსიკაში. დისერტაცია ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი. თბილისი, 2006.
3. ჩხეიძე, თამარი, საღვთო ლიტურგია ღვთისმსახურების ქართულ პრაქტიკაში (მუსიკალურ-ლიტურგიკული ასპექტი). დისერტაცია ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი. თბილისი. 1997.
4. გაბისონია, თამაზი (2005). ქართული წირვის საგალობლების მელოდიური მოდელები, ქართული ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი: მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია (რედ.: ქავთარაძე, მარინა), 2005 1(1) <http://gesj.internet-academy.org.ge/download.php>
5. ექვთიმე აღმსარებელი, ქართული გალობა სამი წირვის წესი. ლიტურგია მღვდელმთავართათვის და მღვდელთათვის. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერი Q-674.
6. ხუნდაძე, რაჟდენი. ქართული საეკლესიო გალობა გურულ-იმერულ სადა კილოზე, გადაღებული ნოტებზე მღვდლის რაჟდენ ხუნდაძის მიერ. წიგნი პირველი, პირველი ხმა (დაწყება). წირვის წესი წმ. იოანე ოქროპირისა, ბასილი დიდისა და პირველ შეწირულისა. *ქუთაისი: სტამბა ი. კილაძისა და ი. ხელაძისა*. 1902.
7. ხუნდაძე, რაჟდენი. ქართული გალობა ლიტურგია იოანე ოქროპირის, ვასილი დიდისა და გრიგორ ღვთისმეტყველისა. პარტიტურა. ნოტებზე გადაღებული მღვდლის რ. ხუნდაძის მიერ, ტფილისი: *ელექტრომბეჭდავი სტამბა ა. კერესელიძისა*. 1911.
8. პარაკლიტონის საგალობლები (1913). კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერი Q-688.
9. ერქვანიძე, მალხაზი, ვეშაპიძე, ლევანი (შემდგენლები). ქართული გალობა, გელათის სკოლა. მწუხრის, ცისკრის, ჟამისწირვის, თორმეტ საუფლო და უძრავ დღესასწაულთა, პასექის, პანაშვიდის და ქორწინების საგალობლები. თბილისი: ხელოვნება. 2003.

10. ერქვანიძე, მალხაზი (შემდგენელი). ქართული გალობა, გელათის სკოლა. მწუხრი, ცისკარი, წირვა ილუმენ ექვთიმე კერესელიძის და დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერების მიხედვით. ტომი I, გამოცემა III, თბილისი: საქართველოს საპატრიარქო. 2004.
11. ერქვანიძე, მალხაზი (შემდგენელი). ქართული საეკლესიო გალობა. გელათის და შემოქმედის სკოლები. V ტომი. თბილისი: საქართველოს საპატრიარქო. 2008.
12. ქორიძე, ფილიმონი. ქართული გალობა ლიტურგია იოანე ოქროპირისა გადაღებული ფილიმონ ქორიძის მიერ. პარტიტურა 1, თბილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. 1895.
13. ექვთიმე აღმსარებელი, შთასახედი. ქართული გალობა სამი წირვის წესი. ლიტურგია მღვდელმთავართათვის და მღვდელთათვის. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერი Q-674.
14. კელენჯერიძე, მელიტონი. წინასიტყვაობა. ქართული საეკლესიო გალობა გურულ-იმერულ სადა კილოზე, გადაღებული ნოტებზე მღვდლის რაჟდენ ხუნდაძის მიერ. წიგნი პირველი. პირველი ხმა (დაწყება). ქუთაისი: სტამბა ი. კილაძისა და ი. ხელაძისა. 1902.
15. კეზევაძე, მერაბი (შემდგენელი). დოკუმენტები იმერეთში საეკლესიო გალობის ისტორიისათვის (1821-1920 წწ.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მერაბ კეზევაძემ. ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი. 2006.
16. გრემი, ჯონი, ივლიანე ნიკოლაძე: ქართულ ძლისპირთა რედაქტორი, ტრადიციული მრავალხმიანობის მეხუთე საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებები (რედ.: რუსუდან წურწუშია, იოსებ ჟორდანიას). თბილისი: თბილისის სახ. კონსერვატორია. 2012 (გვ. 425-446).
17. Аракчиев Д. И. Краткий очерк развития грузинской, карталино-кахетинской народной песни с приложением нотных примеров и 27 песен в народной гармонизации Д. И. Аракчиева. Москва, 1905.
18. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. I, თბილისი: მერანი. 1991.
19. კარბელაშვილი, ვასილი. ავტობიოგრაფია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ვასილ კარბელაშვილის პირადი არქივი. ხელნაწერი №85.

Article received: 2017-05-18